ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1634645

ნომერი: AR1271624

თარიღი : 08.12.2014

გაცემის თარიღი : 11.12.2014

გაცნობის თარიღი : 11.12.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიტაიას და ჩუბინაშვილის ქუჩების დასაწყისში;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანტონ ბებურიშვილი პ/ნ 01030004137
- თბილისი ართვინის ქ. N 18

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს.,,ამო7" კოდი: 202222273

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა განცხადება და თანდართული საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ჩიტაიას და ჩუბინაშვილის ქუჩების დასაწყისში, შ.პ.ს.,,ამო7"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის ფასადზე მეტალოპლასტმასის კარ–ფანჯრის მოწყობის საკითხს.
გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, სამსახურის მიერ დადგინდა. რომ წინამდებარე საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მეტალოპლასტმასის კარ–ფანჯრის მოწყობას იმ ფართობზე, რომელიც შეთანხმებული პროექტის თანახმად არ იყო შემინული და წარმოადგენდა ღია სივრცეს. კონსტრუქცია რომლის შემინვაც არის დაგეგმილი წარმოადგენს არქიტექტურული გადაწყვეტის ერთ–ერთ დამახასიათებელ ელემენტს და მისი შემინვა გამოიწვევს შენობის იერსახის შეცვლას, რაც არ არის მიზანშეწონილი. აგრეთვე წარმოდგენილი ფოტოდოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო სამუშაოები პრაქტიკულად უკვე განხორციელებულია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილ საპროექტო წინადადებას მიეცა უარყოფითი შეფასება და თქვენი AR1271624 , 08.12.2014 განცხადებით წარმოდგენილ თხოვნას ეთქვა უარი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.